პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 117

2019წ. "14" 06

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:“

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	30	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
2	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	89	104	ქართული	32	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
4	ვეტერინარია (1)	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0841 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 010252	120	150	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
5	ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება (2)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 041065	85	115	ქართული	10	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №9 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ანასტასია ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე